ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 673

"20" დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №20/ლეხ კაჩინსკის ქუჩა №2 (ს/კ. №01.17.13.041.016) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებულ პირთა ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად შპს ,,სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტის" (ს/ნ. 454407721) მიმართ გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №20/ლეხ კაჩინსკის ქუჩა №2 (ს/კ. №01.17.13.041.016), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებულ პირთა ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად შპს ,,სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტის" (ს/ნ. 454407721) მიმართ გაცემული მხარდაჭერი ღონისძიებების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 20 ნოემბრის №24.1971.2209 განკარგულების, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმის №12-ის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №20/ლეხ კაჩინსკის ქუჩა №2 (ს/კ. №01.17.13.041.016), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შპს ,,სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტის" (ს/ნ. 454407721) მიმართ გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებასთან დაკავშირებით;

ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №20/ლეხ კაჩინსკის ქუჩა №2 (ს/კ. №01.17.13.041.016), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებების ხელახლა გაცემა მოხდეს მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრით რეგისტრირებული ყველა მესაკუთრის, მათ შორის მომავალი მესაკუთრის ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №20/ლეხ კაჩინსკის ქუჩა №2 (ს/კ. №01.17.13.041.016), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დაინტერესებული შპს ,,სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტის" (ს/ნ. 454407721) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების

საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №222 განკარგულება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე